

საარჩევნო სიახლენი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აგრძელებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობების მონიტორინგს წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. ორგანიზაცია აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის - ეუთოს მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს 2007 წელი: საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი“ ფარგლებში. მონიტორინგი ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის ამაღლებასა და მომავალი არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებას. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენი“ 2007 წლის მეორე გამოშვებაში წარმოგიდგინებთ მონიტორინგის შედეგებს.

საარჩევნო კანონმდებლობა

2007 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში - საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. გამოვეყოფთ საკანონმდებლო ცვლილების რამდენიმე საკითხს:

- საარჩევნო კომისიების (ცენტრალური, საოლქო) უფლებამოსილების ვადა ექვსიდან ხუთ წლამდე შემცირდა;
- გადაწყდა საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნების ცალკე საარჩევნო ოლქში გაერთიანება, რომელსაც დაითვლის ცესკო;
- ცვლილებების შედეგად როგორც ცენტრალური, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 13-მდე გაიზარდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 5 წევრსა და თავმჯდომარეს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტი, ხოლო 7 წევრს ნიშნავს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიას, 6 წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო დანარჩენ 7 წევრს ნიშნავს პოლიტიკური პარტიები;¹
- საარჩევნო კოდექსის გარდამავალი დებულებების 129⁷ მუხლის მე-6 პუნქტით, კანონმდებლობით კვლავ იქნა დაშვებული არჩევნების დღეს კენჭისყრაში მონაწილეობა დამატებითი სიების მეშვეობით;
- საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლი აზუსტებს სპეციალურ სიაში შესული საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეებისთვის ხმის მიცემის პროცედურა;
- საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა რაოდენობა შემცირდა 2000-დან 1500-მდე; გამონაკლისია სოფლები, სადაც ჯერჯერობით არ არსებობს მისამართები და შენობების დანომრვა.

¹ აღსანიშნავია, რომ პარტიების მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად დანიშნული პირები არ არიან არჩეულები პროფესიული ნიშნით.

ეს არის ის ძირითადი ცვლილებები, რაც 2007 წლის 22 ნოემბერს შევიდა საარჩევნო კოდექსში. ამასთან, ბევრი საკითხი კვლავ დასაზუსტებელი რჩება. კერძოდ, ვერ დარეგულირდა ფარული საარჩევნო რეკლამის შეზღუდვა. ასევე, ცვლილებების ვარიანტმა ვერ გადაწყვიტა არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრობლემა.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება

2007 წლის ნოემბერში საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. 2007 წლის 21 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ალექსანდრე ღონდაძეს, პირადი განცხადების საფუძველზე ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები კომისიის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, 25-29 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისია 13 წევრით დაკომპლექტდა. კომისიის ყოფილ წევრებს დაემატა 7 პოლიტიკური პარტიის/გაერთიანების წარმომადგენელი. ესენი არიან:

1. დავით გურგენიძე - პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
2. ზურაბ მარაქველიძე - საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
3. გიორგი ჯავახიშვილი - პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
4. ნოდარ მუსერიძე - პარტია „ახალი მემარჯვენეები“;
5. გიორგი მთვარელიძე - საქართველოს ლეიბორისტული პარტია;
6. დავით ბარდაველიძე - პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფლება“;
7. ნინო გოგუაძე - კონსერვატიული პარტია.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალ წევრებთან ერთად მუშაობას შეუდგა 25 ნოემბერს, თუმცა სრული შემადგენლობით პირველი სხდომა 29 ნოემბერს გაიმართა.

საკადრო ცვლილებები ცესკო-ს აპარატში

2007 წლის ნოემბერში ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განხორციელდა; კერძოდ, 12 ნოემბერს კომისიის თავმჯდომარის მრჩევლის პოსტზე დაინიშნა ნუგზარ კუპრეიშვილი, რომელიც ახალ თანამდებობაზე გადაყვანამდე პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობდა. აღნიშნული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად კი დაინიშნა ნატალია ჩხეიძე, რომელიც ცესკო-ში გადმოყვანილ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. საკადრო ცვლილებები/დამატებები განხორციელდა ცესკო-ს ეკონომიკურ, სახელმწიფო შესყიდვების, იურიდიულ, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების, საორგანიზაციო სამსახურსა და საოქმო-სარეგისტრაციო სამსახურებში. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში დაინიშნა ცესკო-ს თავმჯდომარის თანაშემწე და ამავე დროს გაუქმდა თავმჯდომარის მოადგილის მრჩევლის პოსტი.

მონიტორინგის შედეგებით ცნობილი გახდა, რომ ცესკო-ს აპარატში აღნიშნული ცვილებების განხორციელების მიზნით ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი არ გამოცხადებულა. პიროვნებები, რომლებიც დაინიშნენ ამ პოზიციებზე (გარდა ნუგზარ კუპრეიშვილისა და ხათუნა სხირტლამისა), არიან მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლები ან დროებით/ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები. ყველა მათგანი მოვალეობებს 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შეასრულებენ, ხოლო შემდგომ გამოცხადდება კონკურსი შესაბამის თანამდებობებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცედურები არ არის კანონის დარღვევა, რადგან ცესკო-ს რეგლამენტით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ფორსმაჟორულ სიტუაციაში დაინიშნოს, გადაადგილოს ან გაათავისუფლოს აპარატის წევრები.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

2007 წლის 1 ნოემბრიდან 31 ნოემბრის ჩათვლით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ #1 მთაწმინდის, #3 საბურთალოს, #10 გლდანის, #13 სიღნაღის, #27 მცხეთის, #28 დუშეთის (ყველა წევრს), #32 გორის, #37 ახალციხის და #38 ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიის ცალკეულ წევრებს შეუწყვიტა უფლებამოსილება. შესაბამისად, ზემოხსენებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსები.

ამავე პერიოდის განმავლობაში ცესკო-მ შეავსო ვაკანსიები და სრულყოფილად დააკომპლექტა რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისია. კერძოდ, 25 ნოემბერს ცესკო-ში გამართულ სხდომაზე შეივსო #1 მთაწმინდის, #10 გლდანის, #27 მცხეთის, #28 დუშეთის, #32 გორის და #37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიები. 28 ნოემბერს ცესკო-ს სხდომაზე შეივსო #3 საბურთალოს, #13 სიღნაღის, #27 მცხეთის, #32 გორის და #38 ადიგენის საოლქო საარჩევნო კომისიები.

ამომრჩეველთა სიები

„სამართლიანი არჩევნები“ ახორციელებს ერთიანი ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცედურის მონიტორინგს. ორგანიზაციამ „საარჩევნო სიახლეთა“ პირველ გამოცემაში საზოგადოებას აცნობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა კარ-და-კარ სიების შემოწმების პროცესის მონიტორინგის შედეგები. კარ-და-კარ სიების შემოწმება დასრულდა 4 ნოემბერს, რომლის შედეგებიც გადაეცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სადაც დაიწყო აღნიშნული მონაცემებზე დაყრდნობით ამომრჩეველთა ერთიანი ბაზის შექმნა.

ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების სრული კომპიუტერიზაცია და შეყვანა დასრულდა 5 დეკემბერს. ამისათვის ცესკო-ს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ქსელების სამსახურმა აიყვანა 42 ოპერატორი, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებდნენ ამომრჩეველთა მონაცემების ერთიან ბაზაში შეყვანას.

ამ ეტაპზე ყველა ოლქის მონაცემი შეტანილია. ცესკო-ს მონაცემებით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში არის 3 372179.

წინასაარჩევნო პროცედურები

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაცია დაკავებული იყო 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებით. კერძოდ, 26 ნოემბრის სხდომაზე დადგინდა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გრაფიკი თითქმის ყოველდღიურად განიცდის გარკვეული სახის ცვლილებებს.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

27 ნოემბრის მონაცემებით ცესკო-ში სულ შევიდა 22 პრეზიდენტობის მსურველი კანდიდატის განაცხადი. ესენი არიან: ირინა სარიშვილი-ჭანტურია, დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი, გიორგი მაისაშვილი, ლევან ქიძინიძე, თამაზ ბიბილური, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი შერვაშიძე, შალვა კუპრაშვილი, შალვა ცერცვაძე, არკადი (ზადრი) პატარკაციშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, გიორგი ყორღანაშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, ფაზილ ალიევი, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი გახოკიძე, გია ჩხიკვაძე, ავთანდილ მარგიანი, არჩილ იოსელიანი და ავთანდილ ფილაური. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარა, თუმცა იმის გამო, რომ 3 მათგანის განაცხადი არ იყო სრულყოფილი, ცესკო-მ საბუთები მათ უკან დაუბრუნა შესასწორებლად. აღნიშნულ კანდიდატებს აღარ შეუტანიათ განაცხადები. დანარჩენ კანდიდატთა წარმდგენ პარტიებს/ საინიციატივო ჯგუფებს მიეცათ 10 დღიანი ვადა მხარდამჭერთა 50 000 ხელმოწერის შესაგროვებლად. აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებმა ელენე ტეფნაძე-ზაგრატიონმა და ივანე წიკლაურმა მხარდამჭერთა ბლანკები წაიღეს, თუმცა ცესკო-ში განაცხადი არ შეუტანიათ.

6 დეკემბერს დასრულდა კანდიდათა მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხარდამჭერთა სიების შეტანა. ოფიციალური მონაცემებით მხარდამჭერთა სიები პრეზიდენტობის 13 კანდიდატმა წარადგინა. ესენი არიან: მიხეილ სააკაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი, ირინა სარიშვილი, დავით გამყრელიძე, გია მაისაშვილი, ავთანდილ მარგიანი, შალვა კუპრაშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, არკადი (ზადრი) პატარკაციშვილი, არჩილ იოსელიანი, ლევან ქიძინიძე და გიორგი შერვაშიძე. ცესკო პრეზიდენტობის კანდიდატების მხარდამჭერთა სიებს 3 დღეში გადაამოწმებს, შეცდომების გამოსასწორებლად კი კანდიდატებს ვადა 11 დეკემბრამდე აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე გადაამოწმდა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა სია და შესაბამისად ცესკო-ში იგი დარეგისტრირდა პრეზიდენტობის კანდიდატად.

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

7 დეკემბრის მონაცემებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა 26 ადგილობრივ და 5 საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც დააკვირდება 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს.

29 ნოემბერს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანა განაცხადი 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსის მიღების მიზნით. 1 დეკემბერს, ცესკო-მ ორგანიზაციას მიანიჭა აღნიშნული სტატუსი.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მონიტორინგის შედეგები

ცესკო-ს საქმიანობის მონიტორინგი

„სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითოეული სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით.

ხაზგასასმელია, რომ არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ცენტრალური საარჩევნო კომისია განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რაც გულისხმობს ყველა სამსახურის მუშაობას დამატებითი საათების განმავლობაში, შაბათ-კვირის ჩათვლით. სხდომები იმართება თითქმის ყოველდღიურად და ხშირად დღეში რამდენჯერმეც.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გამჭვირვალეა. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კომისიის სხდომებზე, შემდეგ კი დელეგირდება საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტულ სამსახურებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ცესკო-ს სხდომებს ამჟამად თითქმის ყველა სამსახურის უფროსი/წარმომადგენელი ესწრება. შესაბამისად, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ ეცნობებათ ცესკო-ს აპარატის თანამშრომლებს, ხოლო საორგანიზაციო სამსახურის მეშვეობით - ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციას (ოლქებს).

ამ ეტაპზე ცესკო-ს როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაცია საკმაოდ დახვეწილია. მიუხედავად იმისა, რომ პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ვებ-გვერდის მეშვეობით დაუყოვნებლივ ავრცელებს ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და აკეთებს წინასწარ განცხადებებს (ანონსებს) სხდომებსა თუ დაგეგმილ საქმიანობებზე, აღნიშნულ სამსახურში კვლავ პრობლემატური რჩება ვებ-გვერდის ერთდროულად ორენოვნად განახლება (მაგალითად, კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია ინგლისურ ენაზე საერთოდ არ არის განახლებული, არ არის განთავსებული ინფორმაცია პარტიების მიერ წარდგენილი წევრების შესახებ). სასურველია, ვებ-გვერდის სისტემატური განახლება ხდებოდეს ერთდროულად როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად.

განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს ცესკო-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. მოახლოებული არჩევნების გამო ხდება ახალი თანამშრომლების აყვანა/დამატება. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ეს თანამშრომელი აყვანილია დროებით, კონკურსის გარეშე.

საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის მონიტორინგი

„სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის როგორც ცენტრალური, ასევე ქვედა დონეების საქმიანობის მონიტორინგი. ორგანიზაციის ოლქის კოორდინატორები საქართველოს 75 ოლქში აკვირდებოდნენ წინა საარჩევნო პროცესებს. მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ ნოემბრის დასაწყისში საოლქო საარჩევნო კომისიების ძირითად საქმიანობას ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა წარმოადგენდა. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კარ-და-კარ გადამოწმებული სიები საოლქო კომისიებმა გადააგზავნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემდგომი დამუშავებისთვის. ცესკო-ს მიერ განსაზღვრულ დროს, 4 ნოემბერს, დასრულდა კარ-და-კარ გადამოწმების პროცესი, თუმცა ზოგიერთ ოლქში რამდენიმე ჯგუფმა გააგრძელა მუშაობა.

არჩევნების დანიშვნის შემდეგ კომისიების უპირველესი საზრუნავი საზღვრების დადგენა გახდა. პარალელურად საოლქო საარჩევნო კომისიები ამომრჩეველთა ერთიან სიებში ცესკოდან დაბრუნებული შენიშვნებისა და გაურკვევლობების დაზუსტებაზე მუშაობდნენ. უბნების საზღვრები უკვე დადგენილია, მაგრამ მონაცემებში ცვლილებები ყოველდღიურად შედის. არჩევნების ადმინისტრირების მიზნით საქართველოს მასშტაბით შეიქმნა სულ 3399 საარჩევნო უბანი (ამ მონაცემში არ შედის სამხედრო და საზღვარგარეთ გახსნილი უბნების რაოდენობა). კონკურსი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ასარჩევად გამოცხადდა 29 ნოემბერს. 7 დეკემბრის მონაცემებით წევრთა დაკომპლექტება დასრულებულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში ცესკო ძირითადად დაკავებული იყო წინასაარჩევნო მზადებით. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საქმიანობა არჩევნების ადმინისტრირებას უკავშირდებოდა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აგრძელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგს და ინფორმაციას მონიტორინგის შედეგების შესახებ პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებას.